Georgian AI Association

თანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისი 12/03/2024

ა(ა)იპ საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაცია, სკ: 405651655 (შემდგომ - ასოციაცია) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, გიგი გიორგაძის სახით და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (ს/კ 204569617), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, გიორგი კლდიაშვილის სახით (შემდგომ - პარტნიორი) და ორივე ერთად მოხსენიებული როგორც მხარეები, თვალისწინებენ თანამშრომლობისა და პარტნიორობის ორმხრივ სარგებელს, გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს.

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

ამ მემორანდუმის ფარგლებში მხარეები მხარს დაუჭერენ ერთმანეთის საქმიანობას და განახორციელებენ ერთობლივ აქტივობებს საქართველოში ხელოვნური ინტელექტის ეკოსისტემის, მისი ქვეყნის სოციალური და დემოკრატიული განვითარების ინსტრუმენტად ჩამოყალიბებისა და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული საჯარო სერვისებისა და შესაბამისი პოლიტიკის განვითარების მიზნით.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმა

ამ მემორანდუმის ფარგლებში მხარეები თანხმდებიან:

ა) ერთობლივი ღონისძიებებისა და პროექტების (ნეთვორქინგ შეხვედრები, სემინარები და ვორქშოპები, საჯარო ლექციები, კონფერენციები და ა.შ.) ჩატარებაზე და საჭირო რესურსების ერთობლივად მობილიზებაზე;

ბ) საჯარო პოლიტიკის, სტრატეგიისა და გაიდლაინების ჩამოყალიბებასა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარებაზე, სახელმწიფო ორგანოებთან და საერთაშორისო დონორებთან ერთობლივად მუშაობაზე, უცხოური საუკეთესო პრაქტიკების შესწავლასა და ადგილობრივი სტრატეგიებისა და პოლიტიკისთვის ადაპტირებაზე;

გ) მხარეთა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე და მხარეების საქმიანობისა და ინიციატივების საინფორმაციო მხარდაჭერაზე, მათ შორის საკუთარი არხებით;

დ) ერთობლივი კვლევების, კვლევითი პროექტებისა და საგრანტო წინადადებების ინიცირებაზე და შესაბამისი კვლევების ჩატარებაზე;

ე) ასოციაციის მიერ ჩატარებულ/ორგანიზებულ ბაზრისა და დარგის კვლევებში პარტნიორის ჩართულობაზე;

ვ) რეგულარულ კომუნიკაციაზე და იდეებისა და ინიციატივების გაცვლაზე;

ზ) ურთიერთშეთანხმებით სხვა ერთობლივ აქტივობებზე ან თითოეული მხარის აქტივობების საინფორმაციო, მატერიალურ და ექსპერტულ მხარდაჭერაზე, რომელიც ამ მემორანდუმით არაა გათვალისწინებული, მაგრამ გამომდინარეობს მისი ძირითადი მიზნიდან.

მუხლი 3.

მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და ფარგლები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4. ცვლილებები, ამოქმედება და ფორს-მაჟორი

1. წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ხელმოწერიდან 1 წლის განმავლობაში.

3. თუ რომელიმე მხარე მემორანდუმის ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე არ მოითხოვს მემორანდუმის გაუქმებას, ის გაგრძელებულად ჩაითვლება 1 წლით.

4. მემორანდუმით გათვალისწინებული შეთანხმებები ძალავს კარგავს დაუძლეველი ძალით გამოწვეული ხელის შემშლელი გარემოებების პირობებში.

5. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

ა(ა)იპ საქართველოს ხელოვნური
ინტელექტის ასოციაცია
სკ: 405651655
თავმჯდომარე: გიგი გიორგაძე

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი
ს/კ 204569617
აღმასრულებელი დირექტორი: გიორგი
კლდიაშვილი